განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება
ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
10. 01. 20

დასკვნის წარდგენის თარიღი
17. 01. 20

თბილისი
2020

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	245428158
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა
განათლების საფეხური	
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	60
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო პოპიაშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ელენე კიკალიშვილი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე. პროგრამამ აკრედიტაცია გაიარა 2011 წელს.

პროგრამა განკუთვნილია საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც დაამთავრეს არაქართულენოვანი (აზერბაიჯანულ-,სომხურ-, ოსურ-, აფხაზურენოვანი) სკოლა. ქართულ ენაში მომზადების პროგრამამ უნდა უზრუნველყოს ქართული ენის იმგვარი ცოდნა, რომ სტუდენტმა შეძლოს: წარმატებული კომუნიკაცია ქართულ ენაზე; სხვადასხვა მიზნით, სხვადასხვა აუდიტორიისათვის, სხვადასხვა ტიპის (როგორც ზეპირი, ისე წერილობითი) ტექსტების ადეკვატურად გაგება და შექმნა.

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება „ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის“ დარგობრივ მახასიათებელს, რომელიც 2018 წელს იქნა მიღებული და ძალაში შედის 2020 წლის 01 ივნისიდან.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

სსიპ - განათლების ხარსიხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების #1218 (19.12.2019) თანახმად, 2020 წლის 10 იანვარს სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში შედგა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი შემდეგი შემადგენლობით: ნინო პოპიაშვილი, ელენე კიკალიშვილი.

ვიზიტის განხორციელებამდე ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მასალები და დაიწყო შესაბამისი დოკუმენტაციის გაცნობა, ჩამოაყალიბა სავარაუდო შეკითხვები, რომლებიც დაისვა ინტერვიუს დროს პროგრამის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

სამუშო განრიგის მიხედვით, ექსპერტთა ჯგუფი იმყოფებოდა სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო სასწავლო პროცესს, შედგა შეხვედრები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანთან, პროგრამის ხელმძღვანელთან. შემდეგ შედგა ინტერვიუები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან. ვინაიდან პროგრამა აკრედიტებულია, ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა აუდიტორიები, სამუშაო ოთახები, საკონფერენციო დარბაზი, ბიბლიოთეკა და სხვ.

შეხვედრის განმავლობაში განხილულ იქნა პროგრამა, მისი სტრუქტურა, შესაბამისი დოკუმენტაცია, ცალკეული სილაბუსები.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

  - პირველი სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
  - მეორე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
  - მესამე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
  - მეოთხე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
  - მეხუთე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

- **რეკომენდაციები**

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პრორგამა მცირეკონტიგენტიანია. მნიშვნელოვანია პროგრამის ცნობადობის გაზრდა სამიზნე აუდიტორიაში.

- ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული ცოდნის გასამყარებლად სასურველია ქართული ენის არჩევითი კურსები (ქართული ენა 1 და ქართული ენა 2) ბაკალავრიატში არაქართულენოვანთათვის.

- სასურველია, პროგრამაში ჩართულმა პირებმა მოიძიონ გარე შემფასებლები: პროგრამის განმახორციელებელმა პირებმა გააფორმონ მემორანდუმი საერთაშორისო სწავლების ცენტრებთან (მაგ.: ბრიტანეთის საბჭო, გოეთეს ინსტიტუტი), რომლებიც უცხო ენის სწავლებას თანამედროვე მეთოდოლოგიით ახორციელებენ და გადმოიღონ მათგან სწავლების უახლესი მეთოდოლოგიები.

- ასევე სასურველია ევროპულ უნივერსიტეტებთანაც ინფორმაციის გაცვლა და პროგრამის მუდმივად უცხოურ ანალოგებთან დადარება, რაც გაზრდის პროგრამის ხარისხს და შეუწყობს ხელს პროგრამის ინტერნაციონალიზაციას.

- სასურველია პროგრამის ფარგლებში დაიგეგმოს დამატებითი პრაქტიკული აქტივობები: პრაქტიკაზე ორიენტირებული დავალებები (ინტერვიუს ჩაწერა, სხვადასხვა მედიების გამოყენება სასწავლო პროცესში (ვიდეო პრეზენტაციის გაკეთება, სოციალურ ქსელში ჩასაწერი ენობრივი დავალებები, სხვადასხვა ადგილების მოძიება ქალაქში და აღწერა, სხვადასხვა დაწესებულების მონახულება), ენობრივი კომპეტენციის გაუმჯობესებასთან ერთად სტუდენტებს პრაქტიკული დავალებები დაეხმარება ინტეგრაციასა და ინტერკულტურული კომპეტენციის განვითარებაში.

- სასურველია, პროგრამის განმახორციელებლები ჩაერთონ ინტენსიურად უცხოური/მეორე ენის სწავლების მეთოდოლოგიის ტრენინგებში, რაც მათ დაეხმარებოდა სამომავლოდ ენის სწავლების მეთოდოლოგიურ დახვეწაში, ენის გაკვეთილების ინტეგრირებულად დაგეგმვაში (ოთხივე კომპეტენციის: საუბარი, მოსმენა, წერა, კითხვა ინტეგრირებულად სწავლება).

▪ სასურველია, მეტად მოხდეს პროგრამის ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინება. კერძოდ, საბაკალავრო საფეხურზე აღნიშნული სტუდენტების აკადემიური მოსწრების შესწავლა და მათთვის სწავლის პროცესის ხელშეწყობა.

▪ სასურველია, დაიგეგმოს უმცირესობების სტუდენტებისა და ასევე საერთაშორისო სტუდენტებისთვის ინტეგრაციის პოლიტიკა, რაც მეტად უზრუნველყოფდა ამ სტუდენტების ინტეგრაციას და ჩართვას საუნივერსიტეტო ცხოვრებაში.

▪ **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

▪ **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაში ძირეული ცვლილებები შევიდა ხელახალი აკრედიტაციისა და დარგობრივ ჩარჩოსთან პროგრამის შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

- პირველი სემესტრის სასწავლო კურსები დაიყო A და B ბლოკებად. ბლოკებში გადანაწილება ხორციელდება პრეტესტის შედეგების საფუძველზე (ქართული ენის ფლობის განმსაზღვრელი პრეტესტი). მეორე სემესტრის სასწავლო პროგრამას დაემატა არჩევითი სასწავლო კურსები. სისტემატურად ხდებოდა სილაბუსების, სწავლა-სწავლების მეთოდების, შეფასების კრიტერიუმებისა და თემატიკის დახვეწა-სრულყოფა.
- ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტთან (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, გორის სახელმწიფო-სასწავლო უნივერსიტეტი, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, იაკობ გოგებაშვილის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აკაკი წერეთლის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი) თანამშრომლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის ერთობლივი პროექტის ფარგლებში. 2017 წელს შეიქმნა უნივერსიტეტთაშორისი ქსელი და არაქართულენოვანი პროგრამის განხორციელებაში ჩართულ უნივერსიტეტებს შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი.
- უნივერსიტეტთაშორისი ქსელი პროგრამა PITA-ს ("ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის მხარდაჭერის პროგრამა") ფარგლებში შეიქმნა და საქართველოს იმ უმაღლეს სასწავლებლებს აერთიანებს, რომლებშიც საშეღავათო პოლიტიკის ფარგლებში მიმდინარე 1+4 პროგრამა (ქართულ ენაში მომზადების ერთწლიანი პროგრამა) ფუნქციონირებს. ურთიერთთანამშრომლობის ეს ელექტრონული პლატფორმა ხელს უწყობს მათ ერთობლივ მუშაობას როგორც საუნივერსიტეტო, ისე პროგრამულ დონეზე. უზრუნველყოფს მხარეების რეგულარულ შეხვედრებს ერთმანეთისთვის გამოცდილების გაზიარების, როგორც ენის სწავლების მეთოდიკის, ისე პროგრამის ადმინისტრირებისა და სწავლების კომპონენტების კუთხით, ასევე ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვისა და ორგანიზების მიზნით.

- პირველი აკრედიტაციის შემდეგ განხორციელდა ღონისძიებები სწავლისა და სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის N 111 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ–ს ბაკალავრიატის და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ შესაბამისად, ცვლილებები შევიდა სასწავლო კურსების სილაბუსებში შეფასების სისტემასთან დაკავშირებით, ამასთან, დაკონკრეტდა გამოყენებული სწავლა/სწავლებისა და შეფასების მეთოდები, რომელთა საფუძველიც იყო მინისტრის N3 ბრძანება.
- 2018 წელს ცვლილებები შევიდა სილაბუსების თემატიკასა და სტუდენტთა შეფასების სისტემაში. პირველი სემესტრის სასწავლო კურსში „წერა“ შეტანილ იქნა კარნახით წერა, სემესტრის განმავლობაში ორჯერ, რაც აისახა შეფასების სისტემაში. გამდიდრდა მეორე სემესტრის სასწავლო კურსის „ქართული ენის კომუნიკაციური ასპექტები-2“-ის შინაარსი. თემატიკაში შეტანილ იქნა ისეთი ტექსტები, რომლებიც სტუდენტებს მეტ ინფორმაციას მისცემს საქართველოს, ქართული ენისა და ქართული კულტურის, ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების შესახებ. ყველა საგანში როგორც შუალედური, ისე დასკვნითი გამოცდები ტარდება კომბინირებული ფორმით.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი შეესაბამება ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება „ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის“ დარგობრივ მახასიათებელს, რომელიც 2018 წელს იქნა მიღებული და ძალაში შედის 2020 წლის 01 ივნისიდან. სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა ორიენტირებულია საქართველოს სახელმწიფო ენის ფლობის დონის ამაღლებასა და არაქართულენოვანი მოქალაქეების საზოგადოებაში ინტეგრირებაზე. პროგრამის მიზანია, მსმენელს ჩამოუყალიბოს ისეთი ენობრივი კომპეტენციები, რომელთა საფუძველზე ის შეძლებს: სხვადასხვა მიზნით, სხვადასხვა ტიპის ტექსტების ადეკვატურად გაგებასა და შექმნას, ტექსტის სტრუქტურაში გარკვევას და მის ნაწილებს შორის კავშირის გააზრებას; ქართული ენის ცოდნის შემდგომ გაღრმავებასა და დამოუკიდებლად გამდიდრებას; ქართული ენობრივ-კულტურული ფასეულობების გაცნობას, დაფასებას, პატივისცემას; მოცემულ სოციოკულტურულ გარემოში (ქართული ეროვნულ-კულტურული სპეციფიკის გათვალისწინებით) თავისუფლად ორიენტირებას: აზრის გამოთქმის, კამათის, დისკუსიისა და პრეზენტაციის სტრატეგიების დაუფლებასა და გამოყენებას პროგრამის მიზანია, მსმენელს ჩამოუყალიბოს ისეთი ენობრივი კომპეტენციები, რომელთა საფუძველზე ის შეძლებს: სხვადასხვა მიზნით, სხვადასხვა ტიპის ტექსტების ადეკვატურად გაგებასა და შექმნას, ტექსტის სტრუქტურაში გარკვევას და მის ნაწილებს შორის კავშირის გააზრებას; ქართული ენის ცოდნის შემდგომ გაღრმავებასა და დამოუკიდებლად გამდიდრებას; ქართული ენობრივ-კულტურული ფასეულობების გაცნობას, დაფასებას, პატივისცემას; მოცემულ სოციოკულტურულ გარემოში (ქართული ეროვნულ-კულტურული სპეციფიკის გათვალისწინებით) თავისუფლად ორიენტირებას: აზრის გამოთქმის, კამათის, დისკუსიისა და პრეზენტაციის სტრატეგიების დაუფლებასა და გამოყენებას. პროგრამამ უნდა უზრუნველყოს ერთწლიანი კურსის დასრულების შემდეგ სტუდენტებს საკმარისად ჰქონდეთ განვითარებული ენობრივი და საკომუნიკაციო უნარები, რათა მოიპოვონ უმაღლესი საგანამანათლებლო დაწესებულების ნებისმიერ ქართულენოვან საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების უფლება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 28 ივნისის №40 დადგენილება „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიისა და 2018-2024 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის დამტკიცების შესახებ“; ○ უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი; ○ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა; ○ ქართულ ენაში მომზადების პროგრამის სილაბუსები ○ თვითშეფასების ანგარიში ○ ინტერვიუს შედეგები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან ○ ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელთან ○ ინტერვიუს შედეგები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პრორგამა მცირეკონტიგენტიანია. მნიშვნელოვანია პროგრამის ცნობადობის გაზრდა სამიზნე აუდიტორიაში.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **x შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
☐ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ☐ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ☐ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შედეგებად განსაზღვრულია საბაკალავრო საფეხურისათვის სტუდენტების მომზადება. კერძოდ, ენის ფლობის ოთხი კომპონენტის: წერა, კითხვა, მოსმენა, ლაპარაკი, მიხედვით ქართულის, როგორც მეორე ენის დაუფლება. ასევე, პროგრამის სწავლის შედეგებში მოიაზრება ქართული ენის საკომუნიკაციო გრამატიკის, ორთოეპია-ორთოგრაფიის ძირითადი წესების, ტექსტის შექმნისათვის საჭირო ლექსიკური მარაგისა და სინტაქსური კონსტრუქციების დაუფლება, რათა სტუდენტმა შეძლოს სასურველი სპეციალობის არჩევა და სწავლის გაგრძელება.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები ასახავს და შეესაბამება პროგრამის საფეხურს, კონტექსტს, მიზნებსა და შინაარსს, მოიცავს პროგრამით გათვალისწინებულ ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას. სწავლის შედეგების ავტონომიურობის მიღწევა ხორციელდება ტექსტის კითხვის დამოუკიდებელი უნარით, ასევე, სწავლის საჭიროების შეფასებისა და სწავლის დაგეგმვის გაცნობიერებით. მათ შორის, ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დაცვის, ასევე, განსხვავებული აზრის მოსმენისა და პატივისცემის უნარის დაცვით.
პროგრამის სწავლის შედეგები არის მარტივი, გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური; შეესაბამება უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერს.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროგრამის სწავლის შედეგებს აფასებს პროგრამის ხელმძღვანელი ფაკულტეტის ხარისხის სამსახურთან და პროგრამის აკადემიურ პერსონალთან ერთად. პროგრამის განხორციელების პროცესში პერსონალის რეკომენდაციები განიხილება ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის ფაკულტეტის საბჭოსა და უნივერისიტეტის აკადემიური საბჭოს სხდომებზე. ასევე, განიხილება საკითხები საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები სამი ძირითადი პუნქტისგან შედგება, რომლებიც სრულად ასახავს ქართული ენის ოთხივე სამეტყველო უნარში (კითხვა, წერა, მოსმენა, ლაპარაკი) მისაღწევ კომპეტენციებს. აქედან გამომდინარეობს ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკის, ორთოეპია-ორთოგრაფიის, ქართული ენის კომუნიკაციური ასპექტების, ლექსიკისა და ზეპირმეტყველების სტრატეგიების, დარგობრივი ლექსიკის, მრავალფეროვნებისა და ტოლერანტობის სასწავლო კურსების შედეგები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 28 ივნისის №40 დადგენილება „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიისა და 2018-2024 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის დამტკიცების შესახებ“;
- უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი;
- ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა;
- ქართულ ენაში მომზადების პროგრამის სილაბუსები
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუს შედეგები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან
- ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელთან

○ ინტერვიუს შედეგები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული ცოდნის გასამყარებლად სასურველია ქართული ენის არჩევითი კურსები (ქართული ენა 1 და ქართული ენა 2) ბაკალავრიატში არაქართულენოვანთათვის.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	მისობაშია მოთხოვნებთან	ლად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის გავლა აუცილებელია ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ ზოგადი უნარების (აზერბაიჯანულენოვანი, სომხურენოვანი, აფხაზურენოვანი და ოსურენოვანი) ტესტების შედეგების საფუძველზე ჩარიცხული სტუდენტებისათვის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გასაგრძელებლად ქართულ ენაზე. 2019 წელს შეტანილი ცვლილებით ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ოსურენოვანთათვის/აფხაზურენოვანთათვის სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა აბიტურიენტებს ექნებათ მხოლოდ ოსური ან აფხაზური ენის გამოცდის ჩაბარების საფუძველზე (ეს რეგულაცია ვრცელდება მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებზე).
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ (მუხლი 47[3])(ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა). ○ უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი; ○ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა; ○ ქართულ ენაში მომზადების პროგრამის სილაბუსები ○ თვითშეფასების ანგარიში ○ ინტერვიუს შედეგები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან ○ ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელთან ○ ინტერვიუს შედეგები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავდა მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით, კვალიფიკაციის ეროვნულ ჩარჩოზე დაყრდნობით. პროგრამის მოცულობა არის 60 კრედიტი, აქედან 55 კრედიტი (EGTS) ეთმობა სავალდებულო კურსებს; 5 კრედიტი (EGTS) – არჩევით კურსებს. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. სასწავლო კურსები: ქართული ენის სამეტყველო ფუნქციები (კითხვა), ქართული ენის სამეტყველო ფუნქციები (წერა), ქართული ენის სამეტყველო ფუნქციები (მოსმენა), ქართული ენის სამეტყველო ფუნქციები (ლაპარაკი), ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკა, ლექსიკა და ზეპირმეტყველების სტრატეგიები, ორთოეპია და ორთოგრაფია, ქართული ენის კომუნიკაციური ასპექტები, ფუნქციური წერა, დარგობრივი ლექსიკა, მრავალფეროვნება და ტოლერანტობა (ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლება) რეალურად იძლევა საშუალებას პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მისაღწევად. პროგრამის სასწავლო კურსები ძირითადად ცოდნა-გაცნობიერებასა და უნარებზე გადის, უფრო მეტი დრო ჯგუფში მუშაობას ეთმობა, ნაკლები - ლექციებს. შესაბამისად, გამოყენებულია ზეპირი და წერითი გამოკითხვების, კითხვა-პასუხის, ახსნა-განმარტებითი, ჯგუფური და ინდივიდუალური მუშაობის, დისკუსია / ანალიზის და სხვა მეთოდი. პროგრამის სტრუქტურა მაქსიმალურად ითვალისწინებს სასწავლო კურ-სებს შორის ლოგიკურ კავშირს. ლოგიკურია შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობებიც. პროგრამა არ ანიჭებს კვალიფიკაციას, თუმცა, აღნიშნული პროგრამის კურსდამთავრებულს ეძლევა სერტიფიკატი, რაც წინაპირობაა საბაკალავრო პროგრამაზე ჩასარიცხად. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პრორგამა შეესაბამება უახლეს დარგობრივ მოთხოვნებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი; ○ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა; ○ ქართულ ენაში მომზადების პროგრამის სილაბუსები ○ თვითშეფასების ანგარიში ○ ინტერვიუს შედეგები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან ○ ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელთან ○ ინტერვიუს შედეგები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
☐ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ☐ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები განისაზღვრა უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით, სასწავლო კურსები კი - საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიხედვით. ბსუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებულმა სამუშაო ჯგუფმა განსაზღვრა საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტები. მათი ერთობლიობა მიმართულია პროგრამის კურსდამთავრებულის ქართული ენის სრულყოფილად შესწავლისათვის აუცილებელი კომპეტენციების გამომუშავებისკენ და წარმოადგენს ცოდნის, უნარებისა და

პასუხისმგებლობა-ავტონომიურობის ერთობლიობას. პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსები ისეა აგებული, რომ მათი მიზნები, სწავლის შედეგები და სწავლების მეთოდები შეესაბამებოდეს საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებს. ძირითადი სასწავლო კურსები გამომდინარეობს ერთმანეთისაგან, შინაარსობრივად თანმიმდევრულია და ორიენტირებულია თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარის გამომუშავებაზე. სამუშაო ჯგუფმა, კურსის განმახორციელებელ პერსონალთან ერთად, დეტალურად განიხილა თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მიღწევის მექანიზმი, კურსის შინაარსის შესაბამისობა სწავლის შედეგებთან და მეთოდები, რომლებითაც სასწავლო კურსის ფარგლებში და-გეგმილია კონკრეტულ შედეგზე გასვლა. მიღებული რეკომენდაციების მიხედვით სილაბუსებში შეტანილ იქნა ცვლილებები, რომლებიც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობა იქნა გათვალისწინებული თითოეული სასწავლო კურსისთვის კრედიტების, საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების განსაზღვრის დროსაც.

საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა ასეთია: იგი შედგება 5-კრედიტიანი სასწავლო კურსებისგან, რომლებიც გადანაწილდა სასწავლო კურსების შინაარსისა და სწავლის შედეგების გათვალისწინებით.

პირველ სემესტრში გათვალისწიებულია ექვსი 5-კრედიტიანი სასწავლო კურსი. თითოეული კურსი წარმოდგენილია 2 ბლოკად: A ბლოკის კურსები - 60 საათის მოცულობით და B ბლოკის კურსები- 45 საათის მოცულობით. ბლოკებში გადანაწილება ხორციელდება პრეტესტის შედეგების საფუძველზე — შემსწავლელის საწყისი ენობრივი კომპეტენციების მიხედვით განისაზღვრება, თუ რომელ ბლოკში შეძლებს სტუდენტის სწავლის დაწყებას).

A ბლოკი გათვალისწინებულია ქართული ენის ფლობის დაბალი კომპეტენციის მქონე სტუდენტებისთვის, სწავლება ხორციელდება მეტი საკონტაქტო-60 საათის საფუძველზე (კურსი კვირეული 4-საათიანი საკონტაქტო საათით განისაზღვრება); კურსი ინტენსიური სწავლების პრინციპითაა აგებული და უზრუნველყოფს ამ ბლოკის სტუდენტთა ენობრივი კომპეტენციების დაახლოებას B ბლოკის სტუდენტთა კომპეტენციებთან პირველი სემესტრის ბოლოს. B ბლოკი შედარებით მაღალი ენობრივი კომპეტენციის მქონე სტუდენტებზეა გათვლილი (თითოეული კურსი კვირეული 3-საათიანი, 45 საკონტაქტო საათით განისაზღვრება); სწავლების მეთოდები და სტრატეგიები ემსახურება ქართული ენის ინტენსიურ შესწავლას.

მეორე სემესტრში ხუთი 5-კრედიტიანი სავალდებულო კურსია, რომლებიც შემსწავლელის ენობრივი კომპეტენციების სხვადასხვა მიმართულებით განვითარებას ემსახურება (კითხვა, წერა, ლაპარაკი, ლექსიკა და გრამატიკა, ორთოეპია-მართლწერა); მეორე სემესტრის სასწავლო პროგრამა მიზნად ისახავს: განსხვავებული ტიპის ტექსტებზე მუშაობას, ენათა კონტაქტების, ენისა და კულტურის, მრავალფეროვნებისა და ტოლერანტობის შესწავლას, რაც ასახულია სასწავლო კურსში „ქართული ენის კომუნიკაციური ასპექტები -2“.

დამატებით, მეორე სემესტრში შემოღებულ იქნა ორი 5 კრედიტიანი არჩევითი სასწავლო კურსები: „დარგობრივი ლექსიკა“ (ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლება); „მრავალფეროვნება და ტოლერანტობა“ (ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლება).

სასწავლო კურსი „დარგობრივი ლექსიკა“ ბლოკის სახითაა წარმოდგენილი, საიდანაც

სტუდენტი ირჩევს მისთვის სასურველ ერთ-ერთს. ბლოკის სასწავლო კურსები ითვალისწინებს სხვადასხვა დარგის (მაგ., ბიზნესი, ეკონომიკა, განათლება და ა.შ.) ლექსიკის, ტერმინოლოგიისა და სპეციფიკური კონსტრუქციების შესწავლას, რომლებსაც ირჩევენ სტუდენტები უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის საფეხურზე. სასწავლო კურსი „მრავალფეროვნება და ტოლერანტობა“ ინტერკულტურული დისციპლინაა და საგნის ინტეგრირებული სწავლების პრინციპებს ეფუძნება (კურსი შემუშავდა ეუთოს ეუუკ-ის პროექტის „საქართველოს ახალგაზრდობის მრავალფეროვნებისა და ტოლერანტობისათვის მომზადება“ ფარგლებში).. მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო სწავლების მეთოდების, აქტივობების შერჩევას. მეთოდების შერჩევის დროს გათვა-ლისწინებული იქნა როგორც სასწავლო კურსის სპეციფიკა და შინაარსი, ასევე მისაღწევი შე-დეგები. სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მიღწევის კონკრეტული გზები და შეფასების კრიტერიუმები ასახულია თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში. კურსის სპეციფიკის გა-თვა-ლისწინებით განისაზღვრა სასწავლო კურსის ფორმატი (ჯგუფში მუშაობა, ლექცია, და ა. შ.), ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა. პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე, უპირატესობა მიენიჭა ჯგუფში მუშაობას, პრაქტიკულ, სიტუაციურ დავალებებს. შეირჩა ლიტერატურა დარგის სიახლეების გათვალისწინებით, თუმცა სასწავლო კურსების ნაწილში თანამედროვე ლიტერატურასთან ერთად არგუმენტირებულადაა გამოყე-ნებული წინა წლების გამოცემებიც]. სასწავლო კურსების ნაწილში მომზადებულია სალექციო კურსის/რიდერის ელექტრონული ვერსია, რომელიც სტუდენტს ეგზავნება სასწავლო კურსის დარეგისტრირებისთანავე. პროგრამის სასწავლო კურსები, სწავლის მეთოდები მიმართულია ერთი საერთო მიზნისკენ–ქართული ენის სამეტყველო ფუნქციების დაუფლება და საბაკალავრო საფეხურისთვის სტუდენტთა მომზადება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით ○ უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი; ○ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა; ○ ქართულ ენაში მომზადების პროგრამის სილაბუსები ○ თვითშეფასების ანგარიში ○ ინტერვიუს შედეგები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან ○ ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელთან ○ ინტერვიუს შედეგები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის

შემთხვევაში)
შეფასება **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი „უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის დამტკი-ცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანებით განისაზღვრა ქართულ ენაში მომზადების პროგრამის დარგობრივი მახასიათებლები, რომლებიც თავის მხრივ მოიცავს ცოდნა-გაცნობიერებაზე, უნარებზე, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობაზე ორიენტირებულ კომპეტენციებს. სწორედ აღნიშნულ კომპეტენციებზე დაყრდნობით ჩამოყალიბდა ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებიც. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსები შინაარსობრივად თანმიმდევრულია და სტუდენტს თეორიულ ცოდნასთან ერთად უვითარებს პრაქტიკულ და ტრანსფერულ უნარებს. სასწავლო კურსების სწავლის შედეგების შესაბამისად, პრაქტიკული უნარების გამომუშავების მიზნით, კურსების სილაბუსებში გათვალისწინებულია როგორც ჯგუფში მუშაობა, ისე თეორიული სწავლება, რაც შეეხება კომუნიკაციის უნარს, მთელი პროგრამა მიმართულია ქართული ენის, როგორც კომუნიკაციის საშუალების დაუფლებისაკენ. სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის შედეგად სტუდენტებს გამოუმუშავდებათ წაკითხული ტექსტის მთავარი შინაარსის, სხვადასხვა ტიპის ტექსტების მოსმენა და გაგება; წაკითხული ტექსტის შესახებ წერილობით აზრის ლოგიკურად ჩამოყალიბება; გრამატიკული წესების დაცვით ნებისმიერ სიტუაციაში კომუნიკაცია და საკუთარი აზრის გასაგებად გადმოცემის უნარი. საგანმანათლებლო პროგრამა საშუალებას აძლევს სტუდენტს, სწავლა განაგრძოს საბაკალავრო პროგრამაზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით ○ უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი;

- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა;
- ქართულ ენაში მომზადების პროგრამის სილაბუსები
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუს შედეგები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან
- ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელთან
- ინტერვიუს შედეგები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია პროგრამის ფარგლებში დაიგეგმოს დამატებითი პრაქტიკული აქტივობები: პრაქტიკაზე ორიენტირებული დავალებები (ინტერვიუს ჩაწერა, სხვადასხვა მედიების გამოყენება სასწავლო პროცესში (ვიდეო პრეზენტაციის გაკეთება, სოციალურ ქსელში ჩასაწერი ენობრივი დავალებები, სხვადასხვა ადგილების მოძიება ქალაქში და აღწერა, სხვადასხვა დაწესებულების მონახულება), ენობრივი კომპეტენციის გაუმჯობესებასთან ერთად სტუდენტებს პრაქტიკულიდ ავალებები დაეხმარება ინტეგრაციასა და ინტერკულტურული კომპეტენციის განვითარებაში.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამითა და სასწავლო კურსის სილაბუსებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის ძირითადი მექანიზმია სწავლების მეთოდები. თითო-ეული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდი შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების საფეხურთან, სასწავლო კურსის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და უზრუნ-ველყოფს მათ მიღწევას: თეორიული სწავლება;

ჯგუფში მუშაობა; ახსნა-განმარტებითი მეთოდი; კითხვის მეთოდი; კითხვა–პასუხის მეთოდი; წერის მეთოდი; ზეპირი გამოკითხვა; ელექტრონული რესურსით სწავლება; დებატები/პრეზენტაცია; სიტუაციური სავარჯიშოები; აქტიური მოსმენის მეთოდი; ვიდეო-აუდიომასალის ჩვენება/მოსმენა; დიალოგები და საუბარი; კომუნიკაციური დიდაქტიკა; პროგრამაში შემავალ ცალკეულ კურსში გამოყენებული სწავლების მეთოდები ეფუძნება ინტერაქტიულ მიდგომებსა და აქტიურ სწავლებას.

გამოყენებული მეთოდები და ფორმები გამომდინარეობს სასწავლო კურსის სწავლის შედეგებიდან. კერძოდ, ცოდნა-გაცნობიერების კომპეტენციის გამომუშავებას ხელს უწყობს სხვადა-სხვა სასწავლო კურსში სწავლების ისეთი მეთოდების გამოყენება, როგორებიცაა: ვერბალური, წიგნზე მუშაობის, კითხვის, ახსნაგანმარტებითი, მოსმენის, ელექტრონული რესურსით სწავლების მეთოდი, და ა. შ; ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარ-ჩვევების გამომუშავებას ხელს უწყობს: ანალიზის, კომუნიკაციური დიდაქტიკის, სიტუაციური სავარჯიშოების და ა. შ. მეთოდი. ზოგადი კომპეტენციების გამომუშავებას ხელს უწყობს ვერბალური, ჯგუფური და წყვილებში) მუშაობის, დისკუსია/დებატების, პრეზენტაციის და ა. შ. მეთოდი.

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის პედაგოგებს გავლილი აქვთ საგნობრივი ტრენინგები სწავლისა და შეფასების მიმართულებით. სასურველია, პროგრამის წარმომადგენლები ჩაერთონ ინტენსიურად უცხოური/მეორე ენის სწავლების მეთოდოლოგიის ტრენინგებში, რაც მათ დაეხმარებოდა სამომავლოდ ენის სწავლების მეთოდოლოგიურ დახვეწაში, ენის გაკვეთილების ინტეგრირებულად დაგეგმვაში (ოთხივე კომპეტენციის: საუბარი, მოსმენა, წერა, კითხვა ინტეგრირებულად სწავლება).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი;
- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა;
- ქართულ ენაში მომზადების პროგრამის სილაბუსები
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუს შედეგები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან
- ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელთან
- ინტერვიუს შედეგები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან

რეკომენდაციები:

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

  სასურველია, პროგრამის წარმომადგენლები ჩაერთონ ინტენსიურად უცხოური/მეორე ენის სწავლების მეთოდოლოგიის ტრენინგებში, რაც მათ დაეხმარებოდა სამომავლოდ ენის სწავლების მეთოდოლოგიურ დახვეწაში, ენის გაკვეთილების ინტეგრირებულად დაგეგმვაში (ოთხივე კომპეტენციის: საუბარი, მოსმენა, წერა, კითხვა ინტეგრირებულად სწავლება).

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის

შემთხვევაში)
შეფასება **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით. შეფასება გულისხმობს შემდეგ კომპონენტებს: მიმდინარე შეფასება, შუალედური და დასკვნითი გამოცდები. სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების ბსუ-ში მოქმედი წესი პროფესორ-მასწავლებლებს საშუალებას აძლევს დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით შეარჩიონ სწავლის შედეგების შეფასების სხვადასხვა მეთოდი და რაოდენობა. აღნიშნული წესის თანახმად, სტუდენტის საბოლოო შეფასება წარმოადგენს შუალედური და დასკვნითი შეფასებების ჯამს. თავის მხრივ, შუალედური შეფასება მოიცავს: მიმდინარე შეფასებებს, შუალედურ გამოცდას და შეფასების სხვა სახის კომპონენტს, რომელიც უნდა შეირჩეს დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით. დასკვნითი გამოცდა ტარდება კომბინირებული წესით. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულას შეადგენს, საიდანაც შუალედურ შეფასებას ეთმობა 60 ქულა (შუალედური გამოცდა - 20 ქულა, ხოლო მიმდინარე შეფასება - 40 ქულა) და დასკვნით გამოცდას - 40 ქულა. პროცესში ჩართულობის ამაღლებისა და სწავლის უწყვეტობის უზრუნველყოფის მიზნით უნივერსიტეტში დადგენილია შუალედური შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი: დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 35% (60 ქულის შემთხვევაში - 21 ქულა), დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 50% (40 ქულის შემთხვევაში - 20 ქულა). შუალედური და დასკვნითი შეფასებების კომპონენტებია: წერითი/ტესტური გამოცდა, ზეპირი/წერითი/ტესტური გამოკითხვა, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ. თითოეულ კომპო-ნენტში გამოსაყენებელი შეფასების მეთოდები, შეფასების კრიტერიუმები და შესაბამისი ქულის დაგროვების წესი ასახულია სასწავლო კურსების სილაბუსებში. შუალედური და დასკვნითი გამოცდები ტარდება კომბინირებული წესით, წერითი ფორმით. ტესტი მოიცავს ღია და დახურულ შეკითხვებს, სხვადასხვა სახის დავალებებს. ღია კითხვები ფასდება 1 ქულით,

დახურული-0,5 ქულით, სხვა სახის დავალებების შეფასება ხდება საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე (2/3/5/10 ქულით). აკადემიური თავისუფლების ფარგლებში, შუალედური და დასკვნითი კომბინირებული გამოცდებისათვის თითოეული ლექტორი თავად ირჩევს შეფასების მეთოდებს, განსაზღვრავს, ნათლად და მკაფიოდ აყალიბებს შეფასების კრიტერიუმებს და მათ შესაბამის ქულებს, რაც გაწერილი უნდა იყოს სილაბუსში. ამავე დროს, მას უნდა გააჩნდეს მყარი არგუმენტები შერჩეული შეფასების მეთოდების და კრიტერიუმების შესახებ. შეფასების სისტემა გაწერილია „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“, რომელიც განთავსებულია ბსუ-ს ვებგვერდზე და სტუდენტის გზამკვლევში. ფაკულტეტის დეკანი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, სასწავლო წლის დასაწყისში, სხვა საკითხებთან ერთად, პირველკურსელებს აცნობენ ლიტერატურას, ბსუ-ში მოქმედ შეფასების სისტემას. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით გამოსა-ყენებელი შეფასების მეთოდები დეტალურადაა აღწერილი სასწავლო კურსების სილაბუსებში. სწავლების პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სტუდენტთან უკუკავშირს, მათ დროულ და დეტალურ ინფორმირებას შუალედური შეფასების და დასკვნითი გამოცდის შედეგების შესახებ, რაც სტუდენტს საშუალებას აძლევს, სწავლის პროცესში უკეთ გაიაზროს თავისი შეცდომები, სუსტი მხარეები და იზრუნოს მათ გამოსწორებაზე. ჯგუფში მუშაობა ითვალისწინებს ყოველი შუალედური შეფასების შემდეგ ლექტორის მიერ სტუდენტთათვის ცოდნის შეფასების შედეგების გაცნობას, ანალიზს, ტიპური შეცდომების განხილვას. შუალედური შეფასებების და დასკვნითი გამოცდის შეფასების გაცნობისა და განმარტების მიზნით შესაძლოა, გამოყენებულ იქნას ასევე პროგრამის აკადემიური პერსონალის სავალდებულო საკონსულტაციო საათები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით ○ უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი; ○ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა; ○ ქართულ ენაში მომზადების პროგრამის სილაბუსები ○ თვითშეფასების ანგარიში ○ ინტერვიუს შედეგები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან ○ ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელთან ○ ინტერვიუს შედეგები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი აკადემიური პერსონალის დატვირთვაში გათვალისწინებულია სტუდენტებთან ინდივიდუალური სამუშაო შეხვედრებისთვის განკუთვნილი დრო. ვინაიდან პროგრამაზე სტუდენტების მცირე რაოდენობა არის დარეგისტრირებული, პრორგამის ხელმძღვანელი და პროგრამის სხვა ლექტორები ინდივიდუალურად იღებენ უკუკავშირს მათი საჭიროებების შესახებ.

პროგრამაში ჩართული პირები ზრუნავენ სტუდენტების სხვადასხვა აქტივობებში ჩართვაზე: ქართულ ენაში მომზადების პროგრამის (პროგრამა 1+4) სტუდენტებმა მონაწილეობა მიიღეს ქართული ენის სახელმწიფო დღისადმი მიძღვნილი პროექტის „მე მიყვარს ქართული - ჩემი სახელმწიფო ენა!“ ფარგლებში გამართულ კარნახში. სტუდენტები სწავლის დასაწყისში იღებენ ინფორმაციას სასწავლო პროცესის მიმდინარეობისა და საუნივერსიტეტო ელექტრონული პორტალის მოხმარების შესახებ. სტუდენტურ პორტალზე სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა ატვირთონ პირადი ბიოგრაფიები, აღნიშნული პორტალი ხელმისაწვდომია დამსაქმებლებისთვისაც. სასურველია, მეტად მოხდეს პროგრამის ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინება. კერძოდ, საბაკალავრო საფეხურზე აღნიშნული სტუდენტების აკადემიური მოსწრების შესწავლა და მათთვის სწავლის პროცესის ხელშეწყობა. სასურველია, დაიგეგმოს აღნიშნული პროგრამის სტუდენტებისა და საერთაშორისო სტუდენტებისთვის ინტეგრაციის პოლიტიკა, რაც მეტად უზრუნველყოფდა ამ სტუდენტების ინტეგრაციას და ჩართვას საუნივერსიტეტო ცხოვრებაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ● ინტერვიუ სტუდენტებთან, პროგრამის განმახორციელებელ პირებთან; ● სტუდენტური პორტალი https://portal.bsu.edu.ge/ ● ბსუ ბრძ. N 01-06/69, 22 მარტი, 2019 აკად.პერსონალის სამუშაო განრიგის (სააუდიტორიო და საკონსულტაციო საათების) და დამხმარე პერსონალის სამუშაქო განრიგის დამტკიცების შესახებ.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ● სასურველია, მეტად მოხდეს პროგრამის ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინება. კერძოდ, საბაკალავრო საფეხურზე აღნიშნული სტუდენტების აკადემიური მოსწრების შესწავლა და მათთვის სწავლის პროცესის ხელშეწყობა. ● სასურველია, დაიგეგმოს აღნიშნული პროგრამის სტუდენტებისა და საერთაშორისო სტუდენტებისთვის ინტეგრაციის პოლიტიკა, რაც მეტად უზრუნველყოფდა ამ სტუდენტების ინტეგრაციას და ჩართვას საუნივერსიტეტო ცხოვრებაში.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამა არ ითვალისწინებს აღნიშნულ კომპონენტს
მტკიცებულებები/ინდიკატორები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;   - პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;   - პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;   - პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
- პროგრამის განხორციელებაში ჩართულია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, აქედან 1 პროფესორი, 3 ასოცირებული პროფესორი, 1 ასისტენტ პროფესორი და 2 მოწვეული მასწავლებელი (დოქტორი). აქედან 5 აკადემიური პერსონალი ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე საქმიანობს, ხოლო ერთი განათლების ფაკულტეტიდანაა. ხუთვე აკადემიური პერსონალი აფილირებულია ბსუ-ში.   - პროგრამის ხელმძღვანელია მაია კიკვაძე, რომელიც 2006 წლიდან არის ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი. გარდა ლინგვისტური საგნებისა, ასწავლის ქართულს, როგორც უცხოურ ენას ბსუ-ში, ამავდროულად ასწავლიდა თურქეთში, რიზეს რეჯებ ტაიფ ერდოღანის უნივერსიტეტში. აქვს გამოქვეყნებული ჟურნალები ქართული ენის სწავლებაზე საერთაშორისო ჟურნალებში და ლინგვისტური მიმართულებით უმეტესად ადგილობრივ ჟურნალებში.   - ასოცირებული პროფესორი ნათელა ფარტენაძე 2002 წლიდან მუშაობს ბსუ-ში. მას ამ ხნის მანძილზე გამოქვეყნებული აქვს სტატიები უმეტესად ადგილობრივ ჟურნალებში, რომლებიც შეეხება ლინგვისტურ საკითხებს ქართულ ენაში (ზმნის ფორმებს).   - მზია ხახუტაიშვილი 2013 წლიდან არის ბსუ-ს ასისტენტ პროფესორი. მისი სტატიები მოიცავს კვლევას დიალექტოლოგიისა და ლინგვოკულტუროლოგიის მიმართულებით, ძირითადად ადგილობრივ ჟურნალებში.   - ნანა ცეცხლაძე 1997 წლიდან მუშაობს ბსუ-ში და არის ასოცირებული პროფესორი. 2006 წლიდან ის არის ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი. არის მრავალი სტატიის ავტორი ლინგვოკულტუროლოგიისა და დიალექტოლოგიის მიმართულებით.   - დიანა ახვლედიანი 2013-2017 წლებში იყო ბსუ-ს ასისტენტ პროფესორი. 2017 წლიდან ის არის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დარგობრივი დეპარტამენტის მოწვეული მასწავლებელი. არის „ქართული ენის კომუნიკაციური ასპექტები“ 2013 - სახელმძღვანელოს ავტორი. აქვს გამოქვეყნებული სტატიები.

- მარიამ ჩოხარაძე არის მოწვეული მასწავლებელი და მეთოდისტი ქართული ენისა და ლიტერატურის მიმართულებით განათლების ფაკულტეტზე, მის მიერ ადგილობრივ ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიები და საკონფერენციო თემები ქართული ენის მეთოდიკის სფეროს მოიცავს.
- აღნიშნული პერსონალის რაოდენობა და გამოცდილება საკმარისია პროგრამის განსახორციელებლად და უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხემძღვანელი ქართული ენის შესასწავლი სახელმძღვანელოს ავტორია და ფლობს ქართული ენის სწავლების კომპეტენციას.
- პროგრამაზე სწავლობს სტუდენტთა მცირე რაოდენობა, ამიტომ პროგრამის ხემძღვანელი მათ ინდივიდუალურ კონსულტაციას უწევს ადმინისტრაციულსა და პროგრამულ საჭიროებებზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინტერვიუს შედეგები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.
- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის CV.
- ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 16 აგვისტოს №07-01/25 გადაწყვეტილება აკადემიური პერსონალის აფილირების, დატვირთვის და შრომის ანაზღ.გაცემის წესის დამტკიცება.
- ბსუ-ს აკად. საბჭოს 2017 წლის 13 ოქტომბრის № 102 დადგენილება - ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის აკადემიური/საათობრივი დატვირთვის, ჯგუფებში სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის და შრომის ანაზღაურების გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე" ცვლილება.
- ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის №2 გადაწყვეტილება - ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის აკადემიური/საათობრივი დატვირთვის, ჯგუფებში სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის და შრომის ანაზღაურების გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 12 სექტემბრის N3 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;
- ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის №03 გადაწყვეტილებით დამტკიცებული "ბსუ-ს აკადემიური პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის წესი".
- ბსუ-ს წარმომადგ .საბჭოს 2019 წლის 16 აგვისტოს N 07-01/25 დადგენილება ,,ბსუ-ს აკადემიური პერსონალის აფილირების, აკადემიური დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების განსაზღვრის წესის" შესახებ ცვლილება. ;
- ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 12 სექტემბრის N3 გადაწყვეტილების კოდიფიცირებული დანართი N1 ,,ბსუ-ს აკადემიური პერსონალის აფილირების, აკადემიური დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების განსაზღვრის წესი;
- აფილირების წესი
- ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 29 სექტემბრის №05 გადაწყვეტილება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესის დამტკიცების თაობაზე";
- პროგრამის ხელმძღვანელის მოვალეობები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
☐ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ☐ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ● ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი ავსებს ყოველწლიურად თვითშეფასების ანგარიშს, სადაც ასახულია მათი ყოველწლიური აკადემიური საქმიანობა(სწავლება, სამეცნიერო მიღწევები, საუნივერსიტეტო ღონისძიებებში მონაწილეობა). ● წარმოდგენილი ბიოგრაფიებიდან ჩანს, რომ აკამდეიური პერსონალი მუდმივადაა ჩართული სხვადასხვა კონფერენციებში. ● აკადემიური პერსონალი აწარმოებს კვლევებს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტების ფარგლებში, რომლებიც ეხება ლინგვისტურ საკითხებს. ● აკადემიური და მოწვეული პერსონალი ასევე მონაწილეობს პროექტებსა და კონფერენციებში, რომლებიც ერაზმუსის საერთო პროექტების ფარგლებში ხორციელდება. ● ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების საფუძველზე უნივერსიტეტი ახორციელებს მათთვის სხვადასხვა ტრენინგებსა და ვორკშოპებს. ● მაგალითად: 2019 წლის 31 მაისი - 2 ივნისი, დიალექტოლოგიის სემინარი - ,,participating in the Kartvelian Grammar and Text workshop (KGTW), 2017, 2019 წ. მაისი, საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და აკრედიტაციის აქტუალური საკითხები, ტრენერი უმაღლესი განათლების ექსპერტი ირინე დარჩია, ორგანიზატორი ბსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ბათუმი. 2019 წლის 19-21აპრილი, ენა და ტექნოლოგიები: ქართული კორპუსული რესურსები კვლევისა და სწავლებისათვის, ტრენერი მარინე ბერიძე, ორგანიზატორი ბსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ბათუმი. 22.09.2018, ბათუმი. ტრენინგ-კურსი ,,ელექტრონული სწავლება Moodle/Turnitin-ის სისტემის გამოყენებით". ● უნივერსიტეტში ამოქმედდა ინგლისური ენის სერტიფიცირებული კურსები,

რომელშიც მონაწილეობას ღებულობდა ქართულ ენაში მომზაედების პროგრამაში ჩართული პერსონალი. ● უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი და პროგრამაში ჩართული პერსონალი მონაწილეობს უნივერსიტეტთაშორისი ქსელის, პროგრამა PITA-ს ("ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის მხარდაჭერის პროგრამა") მიერ გამართულ ღონისძიებებში, აქტიურად იყენებს ელექტრონულ პლატფორმას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ● ინტერვიუები პროგრამაში ჩართულ პერსონალთან, ხარისხის სამსახური წარმომადგენლებთან. ● პროგრამაში ჩართული პერსონალის CV-ები. პროგრამის პერსონალის გრანტები. ● ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს №060-1/92 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“; ● ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის №46 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“; ● ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს № 06-01/93 დადგენილებით დამტკიცებული „ ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესი“; ● ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 18 ივლისის №66 დადგენილებით დამტკიცებული „ ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესი“; ● ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს № 06-01/91 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა“ ● ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 23 თებერვლის №28 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა“ ● აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს დაგენილება № 06-01/90 სამეცნიერო კვლევის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ(უმაღლესი განათლების ხელშეწყობა)
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ● ბიბლიოთეკაში განთავსებულია პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო სახელმძღვანელოები და მასალა, რომლებიც მითითებულია სილაბუსებში. ● სტუდენტებს შეუძლიათ ისარგებლონ ელექტრონული ბიბლიოთეკით და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზით. ● სტუდენტები და ლექტორები ინფორმირებული არიან რესურსების გამოყენების შესაძლებლობებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ● ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა ● ბიბლიოთეკაში განთვსებული წიგნადი ფონდი ● პროგრამის სახელმძღვანელო ● ინტერვიუ ბიბლიოთეკის თანამშრომელთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი • პროგრამას თან ერთვის 2019 წლის ბიუჯეტი, რომელიც პროგრამისთვისაა გაწერილი. ბიუჯეტში გათვალისწინებულია პროგრამაში მოქმედი პერსონალის დატვირთვა და ანაზღაურება. • ასევე წარმოდგენილია 2017 წლის ბიუჯეტი: ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში გათვალისწინებულია: შრომის ანაზღაურების, სასწავლო პროცესის უზრუნველსაყოფად კომპიუტერული ტექნიკის, სახელმძღვანელოების, ინვენტარის, არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვისა და კომუნალური დანახარჯები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებატა ფაკულტეტის ქართულ ენაში მომადების პროგრამის ბიუჯეტის დამტკიცების ბრძანება: 01-10/132 – 12.11.2019 • ბსუ-ს 2017 წლის ბიუჯეტი. 28.12.2016
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ● ქართულ ენაში მომზადების პროგრამა ხორციელდება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე. ფაკულტეტს ჰყავს არჩეული ადგილობრივი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. ბსუ-ში მოქმედებს „ბსუ-ს აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესი“, რომლის თანახმადაც საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და განვითარების მიზნით ფაკულტეტზე იქმნება კურიკულუმის სამუშაო ჯგუფი, რომელსაც პროგრამის შექმნასა ან შემდგომ განვითარებაზე მუშაობა ევალება. შემუშავებული პროგრამა/ რეკომენდაციები გადაეცემა შემდგომ ადგილობრივ ხარისხს განსახილველად. ხარისხის სამსახური ახორციელებს სასწავლო და საგამოცდო პერიოდის მონიტორინგს, ატარებს სტუდენტთა გამოკითხვას ელექტრონულ პორტალზე სასწავლო კურსის შესაფასებლად და რეაგირებას ახდენს საჭიროების შემთხვევაში. ● ქართულ ენაში მომზადების პრორგამაზე სტუდენტთა რაოდენობა მცირეა, ამიტომ სტუდენტებისგან უკუკავშირის მიღება უფრო ადვილია. პროგრამის ხელმძღვანელი ინდივიდუალურად იღებს სტუდენტებისგან უკუკავშირს პროგრამასთან დაკავშირებით. პროგრამაში განხორციელებული ცვლილებებიც ამ უკუკავშირზე დაფუძნებული. პროგრამაში განხორციელებული შინაარსობრივი ცვლილებები ძირითადად, უკუკავშირისა და სალექციო პროცესის დაკვირვების საფუძველზეა მიღებული.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ● ინტერვიუს შედეგები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, ხარისხის მართვის სამსახურთან; ● ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 28 ივნისის №40 დადგენილება ,,ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიისა და 2018-2024 წლების სტრატეგიული

განვითარების გეგმის დამტკიცების შესახებ“; ● ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს № 06-01/92 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“; ● ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის №46 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“; ● ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის, 26 ივლისის №81 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ-ს აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“; ● ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის, 15 ივნისის №37 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ-ს აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“; ● ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს № 06-01/91 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა“; ● ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 23 თებერვლის №28 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა“; ● ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 11 იანვრის №02 დადგენილება - „ზოგიერთი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფების შექმნის შესახებ“.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა მუდმივად გადის კონსულტაციებსა და გარე ხარისხის შეფასებას საქართველოს სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების, ასევე, ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლებაზე ორიენტირებული სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან (მაგალითად:"ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის მხარდაჭერის პროგრამა [PITA]"-ში, რომელიც არის აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ დაფინანსებული პროგრამა და ახორციელებს საქართველოს გაეროს ასოციაცია (UNAG). ხორციელდება რეგულარული შეხვედრები, სადაც უნივერსიტეტები ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას ქართულ ენაში სწავლების გამოწვევებთან დაკავშირებით. ასევე ტარდება აღნიშნული კუთხით სხვადასხვა ღონისძიებები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

პერსონალის CV
ინტერვიუები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, პროგრამაში ჩართულმა პირებმა გმოიძიონ გარე შემფასებლები: პროგრამის განმახორციელებელმა პირებმა გააფორმონ მემორანდუმი საერთაშორისო სწავლების ცენტრებთან (მაგ.: ბრიტანეთის საბჭო, გოეთეს ინსტიტუტი), რომლებიც უცხო ენის სწავლებას თანამედროვე მეთოდოლოგიით ახორციელებენ და გადმოიღონ მათგან სწავლების უახლესი მეთოდოლოგიები.

- ასევე სასურველია ევროპულ უნივერსიტეტებთანაც ინფორმაციის გაცვლა და პროგრამის მუდმივად უცხოურ ანალოგებთან დადარება, რაც გაზრდის პროგრამის ხარისხს და შეუწყობს ხელს პროგრამის ინტერნაციონალიზაციას.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- ხარისხის სამსახური ახორციელებს სტუდენტების ყოველსემესტრულ შეფასებას. სტუდენტს საშუალება აქვს ცალკეული კურსის შეფასება ასახოს ელექტრონულ პორტალზე. კონკრეტული წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში ხარისხის სამსახური შესაბამის რეაგირებას ახდენს კურსთან დაკავშირებით.
- ხარისხის მიერ პროგრამის დეტალური შეფასება არის გაწერილი „ბსუ-ს აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესში“.
- პროგრამას თან ახლავს „პროგრამის სწავლის შედეგების პირდაპირი შეფასების“ წესი, საიდანაც ჩანს, რომ პროგრამის განმახორციელებელი პირები სამომავლოდ გეგმავენ პროგრამის ერთიან შეფასებას განსაზღვრულ ვადებში და შესაბამისი ცვლილებების დანერგვას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინტერვიუს შედეგები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, ხარისხის მართვის სამსახურან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან;
- ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 26 ივლისის № 81 დადგენილება „ბსუ-ს აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“;
- ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 15 ივნისის №37 დადგენილება „ბსუ-ს აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“;
- ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს № 06-01/92 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“;
- ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის №46 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“;
- აკადემიური მოსწრების დამუშავების ელექტრონული სისტემა https://employer.bsu.edu.ge/PollAdmin
- ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის, 27 ოქტომბრის №104 დადგენილება - „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული შეფასების შედეგების, შენიშვნებისა და რეკომენდაციების დამტკიცების შესახებ“;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება
- ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს № 06-01/91 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა“.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:
ქართულენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 35

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის</u>
სახელი, გვარი, ხელმოწერა
ნინო პოპიაშვილი

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის</u>
ელენე კიკალიშვილი